დადგენილება N28/2026 "სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება" და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჯაზის ხელოვნება" 2026-2027 სასწავლო წლისთვის მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2025 წლის 01 დეკემბრის #37/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება N 28/2026
თარიღი: 23 ივლისი, 2026 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 57–ე და 63–ე მუხლების, „2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის № 55 დადგენილების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ი" და „წ" ქვეპუნქტების, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის No 80/2020 და 2026 წლის 6 ივლისის #25/2026 დადგენილებებით დამტკიცებული დანართის „სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესის" III თავის მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის საფუძველზე, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 16 ივლისის #4 სხდომის ოქმიდან ამონაწერისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის N08 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჯაზის ხელოვნება“ 2026-2027 სასწავლო წლისთვის მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 01 დეკემბრის N37/2025 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში და იგი დამტკიცდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება გადაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ყველა მიმართულების და პროგრამის ხელმძღვანელს, სასწავლო დეპარტამენტს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფისსამსახურს.

3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი